მართვის რესპუბლიკური ავტომატიზებული სისტემა „საქართველო“ წარმოადგენს პროცესს, რომელიც მიზნობრივი კომპლექსური პროგრამით გათვალისწინებულ დიადალუბათა ეტაპობრივ შესრულებას საჭიროებს. და უკვე მართვის რესპუბლიკური ავტომატიზებული სისტემის ძირითადი რგოლის — რესპუბლიკის ფირეტული ოპერაციებისათვის ინფორმაციის დამუშავების ავტომატიზებული სისტემის დანერგვის დროს გაჩკვეული სიძნელენი წარმოიქმნა. თუ საკავშირო საწარმოთა უმრავლესობამ და რესპუბლიკის ზოგიერთმა სამინისტრომ სრული პასუხისმგებლობით აღიქვეს გადასაწყვეტ ამოცანათა მნიშვნელობა, ცალკეული სამინისტროები — საბინაო-კომუნალური მეურნეობის, მშენებლობის, სატყეო მეურნეობის, აგდილობრივი მრეწველობის სამინისტროები — რეგულარულად აყოვნებენ ან უარს ამბობენ საწყისი ინფორმაციის წარმოდგენაზე. ბაზი ეუნდა გაეცალა იმ გარეშეოსაც, რომ მართვის რესპუბლიკური ავტომატიზებული სისტემის ტექნიკური ბაზის შექმნა გამოთვლითი ტექნიკის საშუალებით კოლექტიური სარგებლობის სისტემას უნდა ეყრდნოდეს.

სახალხო მეურნეობის მართვის საკითხები ღღეს საკანონმდებლო კანონზომიერად დგება წინა პლანზე. კანონზომიერია იმის საკითხიც, რომ რესპუბლიკაში იყოს ისეთი სამეცნიერო დაწესებულებანი, რომლებიც მუდმივად, სისტემატურად, გეგმაზომიერად გადაწყვეტენ ამ საკითხებს.

კერძოდ, გარკვეულად უნდა გარდაიქმნას საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ინსტიტუტის საქმიანობა. სწორად ვერ მივიჩნევთ ისეთ პრაქტიკას, როცა რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების უაქტიკურესი პრობლემები და საკითხები, რომლებიც, ვთქვათ, უკავშირდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის ახალი ფორმების დანერგვის მოწინავე გამოცდილების შესწავლასა და განზოგადებას, ინსტიტუტის სამეცნიერო-კვლევითი საშრომების გეგმაში მხოლოდ ზემოდან მიღებული მითითების შემდეგ შეაქვთ.

უფრო მეტიც. მეცნიერება ვერ დასკვრდება და არც უნდა დასკვრდეს მოწინავე გამოცდილების შესწავლა-განზოგადებასა და გავრცელებას. მან უნდა განაგრძოს წინსვლა, გაკვლოს პრაქტიკის ახალი გზები. **ეი რას მოველოთ ჩვენი ეკონომიკის მეცნიერებისაგან, ჩვენი სამეცნიერო კონსულტანტებისაგან, სწავლული ეკონომისტებისაგან.**

ამასთან დაკავშირებით მომწიფდა საკითხი, რომ წარმოების ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი გარდაიქმნას სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და მართვის ინსტიტუტად. ანალოგიურად უნდა მიეუდგეთ სახალხო მეურნეობის ეკონომიკისა და დაგეგმვის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნობისაც და გარდაექმნათ იგი სოფლის მეურნეობის ეკონომიკისა და მართვის ინსტიტუტად. უნდა შეიცვალოს ინსტიტუტების ძირითადი პრობლემატიკაც. ეკონომიკის ვარეთარების დაგეგმვისა და გრძელვადიანი პროგნოზირების მეთოდოლოგიის შემუშავებასთან ერთად საჭიროა შეეიხსწავლოთ სხვადასხვა დონეზე სახალხო მეურნეობის მართვის პრობლემები, შეეიმუშაოთ მართვის დარგობრივი და ტერიტორიული ფორმებისა და მეთოდების და მმართველობითი საქმიანობის ოპტიმალური შეხამების წინადადებები.

მართვის პრობლემათა გადაჭრაში უნდა გაძლიერდეს სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის როლი, რომელიც ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ამაღლების ამოცანასთან ერთად მართვის სრულყოფის საკითხებსაც უნდა წყვეტდეს. ინსტიტუტში შექმნილია სოლიდური სამეცნიერო-კვლევითი განყოფილება, მოქმედებს სხვადასხვა კათედრები, მათ შორის სახალხო მეურნეობის მართვის კათედრა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ უნდა გაიაზროს წინადადებანი **მეცნიერ-ორგანიზატორების** მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის დამუშავების შესახებ. ღღეს ხომ, როგორც წესი, დიდი მეცნიერული მიღწევები კოლექტიური შრომის ნაყოფია. ეს კი ნიშნავს, რომ **სამეცნიერო კოლექტივები უნდა ვმართოთ, და უნდა ვმართოთ პროფესიულ დონეზე.**

სერიოზული ნაკლოვანებებია **უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა მომზადებისა და გამოყენების დაგეგმვაში.** უკანასკნელი წლების ანალიზი მოწმობს: საგეგმო ადგილებით არ არის უზრუნველყოფილი უმაღლესდამთავრებული ახალგაზრდების 20 პროცენტი და ტექნიკუმების კურსდამთავრებულთა დაახლოებით 40 პროცენტი.

მთელი რიგი სპეციალობების, მათ შორის სანენარო სპეციალობების ხიბდენთ, სპეციალისტთა მომზადება დაგეგმილია ისეთი ოდენობით, რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება მოთხოვნებისას. ამავე დროს მანგანთმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობის, ელექტროლელ და ელექტროხელსაწყოთსაშენებელი მრეწველობის, რადიოტექნიკისა და კავშირგამოყენობის, მიწათმოწყობისა და მეცხოველეობის საჭიროებანი ძალზე ცოდად, ხოლო ზოგიერთი მათგანისა — მხოლოდ 15-20 პროცენტით კმაყოფილდება. მეტად რთული დგებამარეობა შეიქმნა საბუღალტრო აღრიცხვის სპეციალისტთა მომზადების საქმეში.

ზოგიერთი სამინისტრო და უწყება, საბჭოს აღმასკომი, საწარმო და ორგანიზაცია ჯეროვანი პასუხისმგებლობით არ ეკიდება ახალგაზრდა სპეციალისტების დამკვიდრების საკითხებს, არ უქმნის მათ შრომისა და ყოფა-ცხოვრების ნორმალურ პირობებს. ეს ნაკლოვანებანი ამ პრობლემებისადმი არასერიოზულ, არაპატრიოტულ დამოკიდებულებას მოწმობს.

არის საკითხის მეორე მხარეც. დაახლოებით ყოველი მეოთხე ახალგაზრდა სპეციალისტი კი ცხადდება დანიშნულების ადგილზე. უმაღლესი სასწავლებლების რექტორატებსა, სამეგზავნებიმეა ორგანიზაციებსა ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რათა თითოეული ახალგაზრდა სპეციალისტი ზზად იყოს ემსახუროს საზოგადოებას, თავის ხალხს იქ, სადაც ეს ყველაზე მეტად არის საჭირო. აქ საქმე ეხება არა მარტო, და შეიძლება, არა იმდენად ათობით მილიონ მანეთს, რომლებსაც სახელმწიფო პრაქტიკულად ტყუილად ხარჯავს, არამედ გამოუსწორებელ მორალურ ზიანს, რომელსაც განიცდიან მთლიანად საზოგადოება და თვით ახალგაზრდები, როცა მათი ცოდნა და ენერგია აქტიურად და მიზანმიმართულად არ გამოიყენება.

სპეციალისტების მომზადების დაგეგმვა უფრო მოქნილი უნდა გავხადოთ. უწინარეს ყოვლისა, მან წინასწარ უნდა გაითვალისწინოს პროგრესული ძვრები რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სტრუქტურაში. ეს საკითხები მთელი პასუხისმგებლობითა და კომპეტენტურობით უნდა გადაწყვეტოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ.

ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა **ნაწილობრივადაც კი არ შეამცირებენ** უმაღლეს სასწავლებლებში რიგზე სპეციალობას, თუ კი ამან შეიძლება ზიანი მიაყენოს ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებას, სულიერ კულტურას, ჩვენს ავტონომიურ ერთეულებს, მთელ ჩვენს რესპუბლიკას!

მოკლედ უნდა შეეეხოთ **საზოგადოებრივ მეცნიერებათა** განვითარების საკითხებს. **საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიღწევების, პრობლემებისა და შემდგომი განვითარების ამოცანების შესახებ უფრო დაწვრილებითი სა-ბაასი გვექნება რესპუბლიკის საზოგადოებათმცოდნეთა აქტივის კრებაზე, რომლის მოწვევაც მომდინარე წლის შემოდგომაზე გვაქვს განზრახული.**

ახლა კი უნდა თქვას, რომ ჯერ კიდევ საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული აზრი, თითქოს საზოგადოებრივ მეცნიერებებს, ეკონომიკის და ნაწილობრივ გამოყენებითი სოციოლოგიის გარდა, არა აქვთ პირდაპირი და უშუალო დამოკიდებულება წარმოებასთან. რა თქმა უნდა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა უმნიშვნელოვანესი სოციალური ფუნქციაა საზოგადოებისა და საზოგადოებრივი მოცულობების განვითარების კანონზომიერებათა შემეცნება, კომუნისტური იდეალების დამკვიდრება და მშრომელთა აზრზედ ამ იდეალების სულისკვეთებით. მაგრამ არა მარტო ეს.

რა აზლოვებს საზოგადოებრივ მეცნიერებებს წარმოებასთან, რა უწყობს ხელს მათს უშუალო გაელვნას საწარმოო ძალების განვითარებაზე?

ეს გახლავთ, ერთი მხრივ, თანამედროვე წარმოების თავისებურებანი, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოო პროცესების გართულებასთან და სულ უფრო მეტ ინტელექტუალიზაციასთან, სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორების როლისა და მნიშვნელობის გაძლიერებასთან, მეორე მხრივ, — ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების განვითარების ისეთი დამახასიათებელი ტენდენციები მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, როგორიც არის. საბუნებისმეტყველო, ტექნიკური და საზოგადოებრივ მეცნიერებათა ინტეგრაცია, საზოგადოებრივ მეცნიერებებში მათემატიკური, ბუნებისმეტყველების მეცნიერული და ტექნიკური მეთოდების შეჭრა, ახალ მეცნიერულ მიმართულებათა წარმოშობა ბუნებისმეტყველების, საზოგადოებათმცოდნეობისა და ტექნიკის შესაყარზე.

ახლა უკვე სრულიად აშკარაა, რომ ისეთი მეცნიერული მიმართულებანი, როგორიც არის გამოყენებითი სოციოლოგია, სოციალური და საინჟინრო ფსიქოლოგია, ტექნიკური ესთეტიკა, ეერგონომიკა და სხვა დარგები, ხელს უწყობენ წარმოების პროცესის უკეთ ორგანიზაციის გაუჯობესებას. **მაგრამ საზოგადოებრივ მეცნიერებათა რეკომენდაციების გათვალისწინებას სახალხო-სამეურნეო ამოცანების, მათ შორის წმიდა ტექნიკური ამოცანების გადაწყვეტის დროსაც. უმთავრესად განპირობებს ხალხიანობის, პირობებში ოვით საზოგადოებრივი წარმოების მიზანი — მშრომელთა არა მარტო მატერიალური, არამედ აგრეთვე სულიერი კეთილდღეობის ამაღლება.**

მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობებთან მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა ორგანული შეერთების ერთ-ერთი ძირითადი სპეციფიკური თავისებურება ის არის, რომ სოციალიზმის დროს ამ მიღწევების დანერგვისას აუცილებლად და ნიადაგ მიიღება მხედველობაში არა მარტო მათი ეკონომიკური სარგებლიანობა და ტექნიკოლოგიური ეფექტიანობა, არამედ მათი **სოციალური ღირებულება, გათვალისწინებულია მათი მოსალოდნელი გავლენა სოციალურსა და დემოგრაფიულ სტრუქტურაზე, მოსახლეობის ცხოვრების ყაიდაზე, ანგარიში ეწევა ამ დანერგვის სამედიცინო-ბიოლოგიურ, სოციალურ-ფსიქოლოგიურ, სულიერ-კულტურულ, ეკოლოგიურ და სხვა შედეგებს.**

აქ აღარ არის საჭირო დაწვრილებით ლაპარაკი იმის შესახებ, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ყველა ამ სოციალური შედეგის შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებრივ მეცნიერებათა საფუძველზე.

საჭიროა საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემობრუნება სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების საარსებო პრობლემების მიმართულებით. ამ მიზნით საზოგადოებათმცოდნე მეცნიერებს შეუძლიათ გამოვიდნენ ორ წელიწადს ან მეტს იმუშაგებს, აღარ იჩენს ასპირანტურაში შესვლის მისწრაფებას, თუმცა აქვს მეცნიერული ზამთის მონაცემები. ეს იმიტომ ხდება, რომ ამ დარგებში, ისათვის მან უკვე მეტალეგი მოიკიდა ფეხი საწარმოში, მოიხვეჭა პატივსაცემა და ავტორიტეტი. კოლეტივი, მოეკიდა ოჯახს, და ხელფასიც კარგი აქვს. ასპირანტურაში შესვლის პერსპექტივა, სადაც სტიპენდია 100 მანეთს არ აღემატება, მას სულაც ხიბლავს.

აქაც გვეხრდება მწყობრი **სისტემა, რომელიც, შესაძლოა, უფრო ადეკვატურნენ იმ ახალგაზრდა ნიჭიერ სპეციალისტთა ასპირანტურაში გაგზავნას საწარმოს ხარჯზე და ამავე დროს ეს ადამიანები, ვინც ეს ბედნიერი ბილეთი ამოიღეს, ეს ადამიანები, ეს ადამიანები, ეს ადამიანები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის მოხსენება

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

თუ მეცნიერის ნაშრომი **აღმოჩენად არის მიჩნეული**, ნუთუ იგი არ შეიძლება მივიჩნიოთ სადოქტორო დისერტაციად? **როგორც ჩანს, უფრო სწორი იქნება** თუ მეცნიერების კანდიდატის ან დოქტორის სამეცნიერო ხარისხი **ენიჭება კაცს უკვე შექმნილი შრომებისათვის, რომელიც იმსახურებს ამ მაღალ სამეცნიერო ხარისხს და მას არ უბდებოდეს წვალება ამ ხარისხის მისაღებად.**

ეს აზრი დაადასტურა მეცნიერ მუშაკთა გამოკითხვამ. მათ დიდ უმრავლესობას მიაჩნია, რომ სამეცნიერო ხარისხის მინიჭების სისტემა ჩვენში მეტად გართულებულია და არომეს მაძიებლის მეტად დიდ ძალ-ღონესა და ენერგიას. ამ საკითხს გვერდს ვერ აუვლით და არც უნდა აუვართო. მეცნიერთა კადრების მომზადებისათვის ზრუნვა უნდა იწყებოდეს უკვე სკოლიან სკოლიდან, სკოლის მერხიდან. აქ უნდა ეყრებოდეს საფუძველი მომავალ სწავლულთა, მაძიებელთა და შრომისმოყვარე მეცნიერთა ფორმირებას.

ამ ბოლო წლებში საქართველოს ელკა ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის, უმაღლესი სასწავლებლების, სამინისტროსა და გაზეთების სამინისტროს ხაზით საინტერესო ნაბიჯები გადადგა. შეიქმნა ეგრეთ წოდებული „მცირე აკადემია" — **რესპუბლიკის ზოგადსაგანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სამეცნიერო საზოგადოება.** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შექმნილია დაფსწრებული ფიზიკა-მათემატიკის სკოლა. დამკვიდრდა ზაფხულობით მრავალპროფილიანი სკოლა-ბანაკების ორგანიზაციის პრაქტიკა, სადაც ნიჭიერ მოსწავლეებს ამეცადინებენ მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიასა და სხვა საგნებში. ყმაწვილება აქტიურად ეზიარებიან მეცნიერულ აზროვნებას მოსწავლეთა ყოველწლიური რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მეობით.

იქმნება საკმარო პირობები მეცნიერული მუშაობის მიღრეკილების მქონე ნიჭიერი ახალგაზრდების გამოსაკვლევად რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში. უკანასკნელ ხანს გაკეტდენენ სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებანი, სხვა შემოქმედებითი გაერთიანებები, კერძოდ, ეკონომიკური ანალიზის ბიუროები, მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ჯგუფები, სტუდენტთა საკონსტრუქტორო ბიუროები, რომლებშიც ორი ათასზე მეტი კაცი მუშაობს.

მაგრამ გასაკვირველი ჯერ კიდევ ბევრია, ძალზე ბევრი, იმიტომ, **რომ ყოველივე მიღწეული ეპიზოდური ხასიათისა ჯერ-ჯერობით.** უთუოდ უნდა ვვქონდეს მეცნიერული შემოქმედებისათვის ახალგაზრდობის მომზადების ისეთი სისტემა, რომელიც მაზრაფეობის ასაკშივე ასტიმულირებს ყმაწვილების ნიჭისა და უნარის შემდგომ განვითარებას. ზუსტად ასევე, მომავალი მეცნიერები უნდა ვეძებნოთ და ვამზადოთ უმაღლეს სასწავლებლებში დაწყებული მეორე და მესამე კურსებიდან.

ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საშუალო სკოლაში და უმაღლეს სასწავლებლებში შემოშვედეს მეცნიერული მუშაობისადმი მიღრეკილების კრიტერიუმები, რომელნიც საფუძვლად დაედება ახალგაზრდობას შერჩევას უმაღლეს სასწავლებლებში, ხოლო შემდეგ ასპირანტურაში ჩასარიცხად.

შეიძლებოდა **ექსპერიმენტის წესით** შემოგვედო ზოგიერთი სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში **სპეციალური ჯილდოს სისტემა**, რომელებითაც შეფასდება მოსწავლეთა წარმატებანი საზოგადოებრივი მეცნიერებების, ცოდნის ცალკეული დარგების, უცხო ენების დაუფლებაში და ა. შ. ეს ტუღები იქნებ გაგვეთვალისწინებინა უმაღლეს სასწავლებელში, ასპირანტურაში მიღებისას. როცა ამ პრაქტიკას ასპირანტურაზეც გავავრცელებთ, მაშინ ქუღების საკმარისი რაოდენობა ასპირანტს გაათავისუფლებს საკანდიდატო გამოცდების ჩაბარებისაგან, რომელიც სხვათა შორის, ხშირად უბრალო ფორმალობაა.

საჭირთველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილებამ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან, უმაღლესი სასწავლებლების და განათლების სამინისტროებთან ერთად **უნდა წარმოდგენის კონკრეტული წინადადებანი ასეთი სისტემის შემუშავების თაობაზე.**

ფორო მეტიდრო, უფრო ორგანული უნდა გახდეს უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების, უფროსების ყოველისა, მეცნიერებათა აკადემიის სისტემის დაწესებულებათა ურთიერთობა. სტუდენტ ახალგაზრდობას ფართოდ უნდა გავუხსნათ გზა სამეცნიერო ლაბორატორიებსა და ექსპერიმენტულ ბაზებში, ჩვენმა სწავლულებმა აქტიურად უნდა ჩაიბან ახალგაზრდები მეცნიერულ მუშაობაში, კერძოდ, ფუნდამენტურ კვლევაში.

ეი კიდევ რამდენიმე მოსაზრება პრობლემაზე „ადამიანი და მეცნიერება". საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე უკვე აღინიშნა, რომ ჩვენი წინასწარ კვალობაზე სულ უფრო ფიდ როოლ შესარულებენ **სუბიექტური ფაქტორები.** მეცნიერებაში ერთ-ერთი ასეთი ფაქტორია **მეცნიერი ლიდერის, მეცნიერი ხელმძღვანელის, მეცნიერი ორგანიზატორის,** მეცნიერი **მოკალაკის და პატრიოტის** როლი.

ჩვენში ახლა ბევრია თვალსაჩინო მეცნიერი, რომელებსაც „იდეების გენერატორებს" ეუწოდებთ და რომელთა გარშემოც ერთიანდება, ირაზმება ახალგაზრდობა. სწორედ ჩვენს მხცოვან მეცნიერებზეა უფროსრულად დამოკიდებული ამ ახალგაზრდებისგან **ახალი ტიპის მეცნიერთა, მეცნიერულ-ტექნიკური რეზოლუციის პერიოდის მეცნიერთა ჩამოყალიბების პროცესი.**

მეცნიერება ადამიანის საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე დემოკრატიული დარგია. ამიტომ ნამდვილ მეცნიერ ლიდერს კარგად უნდა ესმოდეს, ბოლომდე ჭქონდეს შეგნებული, რომ, იტოვებს რა უფლებას საბოლოოდ გადაწყვეტოს ესა თუ ის სამეცნიერო პრობლემა დასკვნით ეტაპზე, მანამდე ამ გადაწყვეტილების მიღებამდე, ყველაფერი უნდა იღონოს, რათა რაც შეიძლება ფართოდ, რაც შეიძლება დემოკრატიულად განიხილოს ყოველივე, რაც დაკავშირებულია მეცნიერების შემდგომ განვითარებასთან.

ალბათ, ასეც შეიძლება ითქვას: **ყველაზე ფართო დემოკრატია მეცნიერების განვითარების განუყოფელი ნიშნისა; მეტიკედ განვითარებადი მეცნიერება შემდგომი დემოკრატიული განვითარების სტიმულია.**

მაგრამ, სამწუხაროდ, დღესაც თავს იჩენს ისეთი **ანომალიური მოვლენა, როგორიც არის მონოპოლიზმი მეცნიერებაში,** რაც არა მარტო ფფერხებს მეცნიერების განვითარებას, არამედ რაკნის კიდეც სამეცნიერო კოლექტივის მერყევ ნაწილს, სულტი ნებისყოფის მუშაკებს უბიძგებს შემრიგებლობისაკენ, მოეშვნელობისა და მაამებლობისაკენ, მორალურად ასახჩრებს ადამიანებს.

მეცნიერი ლიდერი, უწინარეს ყოვლისა, დიდი **ავტორიტეტი** უნდა იყოს თავისი მეცნიერების დარგში. მეცნიერი ლიდერი **ავტორიტეტი** უნდა იყოს **როგორც მოკალაქე,** როგორც პატრიოტი. მეცნიერ ლიდერს **ავტორიტეტი უნდა ჰქონდეს მორალურ-ეთიკური თვალსაზრისით.** ვფიქრობთ, რომ მორალურ-ეთიკური მხარე პიროვნებისა მეცნიერებაში უფრო დიდ როლს ასრულებს, ვიდრე, ეთქვათ, ადამიანის საქმიანობის სხვა დარგებში. **ცუდი მეცნიერი მეცნიერი არ არის.** მაგრამ არიან ადამიანები, რომელნიც ითვისებენ მეცნიერის მაღალ ტიტულს, მისი ღირსი კი არ არიან. ეს უბრალოდ უპატიოსნობაა!

ნამდვილი მეცნიერი იგი ეგრეთ სიტეაციის, სადაც შესაძლებელია დატაცება, მექრთამეობა, სიცრუე, მაამებლობა, არაკეთილსინდისიერება. მაგრამ არიან ისეთები, რომელნიც კისრულობენ ამას, და ეს-ეს, ელეგანტურული უპატიოსნობაა! დღეს ამის შესახებ ვლაპარაკობთ იმიტომაც, **რომ წარმოებასთან მეცნიერების პარტიორობის სტიმულირების შემოთავაზებული ფორმები შეიძლება გამოიყენონ მეცნიერების მიტმასნელმა, უპატიოსნო ადამიანებმა, და ამით სახელი გაუტეხონ ჯერ კიდევ დამტკიცებამდე.**

მეცნიერის მაღალ წოდებას პატივი უნდა ვცეთ. იგი უნდა დავიცვათ, უნდა გავუფრთხილდეთ მას!

მეორე მხრივ, პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა, შესაბამისმა თანამდებობის პირებმა მეტად უნდა იზრუნონ მეცნიერთა **მატერიალურ და მორალურ სტიმულირებაზე.**

ალბათ, მეცნიერის წაბალისების უმაღლესი ფორმაა **მორალური დამკვიდრება,** რომელსაც იგი იღებს საკუთარი აღმოჩენისა თუ ნამუშევრის დანერგვით. ამიტომ მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ საყურადღებო იდეებისა და ნამუშევრების რეალიზაციისას მეცნიერი არ აწყდებოდეს მრავალრიცხოვან სიძნელეებს, რომლებსაც პრაქტიკულად არაფერი აქვს საერთო მეცნიერებასთან.

ეს ეხება **დაფინანსებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების, შრომების დაბეჭდვისა და გამოგონებათა გაფორმების, საავტორო მოწმობების მიღების, სპატენტნოსალიცენზიო მხარდაჭერისა და მრავალ სხვა საკითხს.**

ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი და სახელმწიფო ორგანოებიც პოპულარიზაციას უნდა უწევდნენ ყველაზე ნიჭიერ მეცნიერებს, რომ სწორედ მათ წოლად შედიოდეს პრემიები და სხვა ტრადიციული ფორმების წახალისებანი.

მეორე მხრივ, სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი მეცნიერთა **მატერიალური წახალისების** საკითხებს, კარგად შევისწავლოთ და გამოვიყენოთ ქვეყნის ზოგიერთი სამეცნიერო დაწესებულების გამოცდილება, სადაც შუაკაცა შრომის ანაზღაურება ხდება **დიფერენციერებულად,** ინდივიდუალური ატესტაციის შედეგების შესაბამისად, **სადაც დასაბუთებულად ხდება ფულადი პრემიების დიფერენციაციაც.**

უნდა განვაგრძოთ მეცნიერთა წახალისების ახალი ფორმების ძიებაც. ბელგოსის მომზადებისას შემოტანილი იქნა წინადადებანი, რომ დამუშავებათა დანერგვის პერიოდში მათი ავტორები შესაბამისი ანაზღაურებით მიიწვიონ სწორმოების კონსულტანტად. უნდა მოვიფიქროთ, როგორ გავავრცელოთ ფართოდ აკადემიის ინსტიტუტებსა და უმაღლეს სასწავლებლებში შესრულებულ პრაქტიკულ ნამუშევრებზე ეკონომიკური სტიმულირების შესაძლებლობანი, რომელებიც ახლა არის დარგობრივ ინსტიტუტებში. იყო სხვა წინადადებანიც, რომლებიც ყურადღებას იმსახურებს.

როცა ასე მწვავედ ვაყენებთ საკითხს აკადემიური მეცნიერების, დარგობრივი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, უმაღლეს სასწავლებელთა მეცნიერების, სპეციალეტო, საკონსტრუქტორო ორგანიზაციების წარმოებასთან ინტეგრაციის საკითხს, ამავე დროს უნდა შევიქმნათ მათს მუშაკებს შესაბამისი პირობები ერთობლივი შემოქმედებითი მუშაობისათვის, წარმოების მუშაკებთან მეცნიერული მოღვაწეთა შემოქმედებითი შეხვედრებისათვის. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია **თბილისში ბაიხსას მეცნიერთა სახლი და მიეცეს მას სოლიდური მატერიალური ბაზა.**

ამავე დროს საჭიროა ვიფიქროთ მეცნიერი მუშაკებისათვის / საცხოვრებელი სახლების, საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების, სანატორიუმების და ბაგების, საკიდელ-საკონსულტაციო ბიუროები და საცდელ-საკონსულტაციო ბიუროები ბიუროები და საცდელ-საკონსტრუქტორო ბიუროები და ა. შ. ეს ტუღები ფუნდამენტალურ-ეროვნული ხასიათისა. ეს ეხება ეროვნული ეკონომიკის ინტენსიფიკაციას, ეროვნული ეკონომიკის ტემპის დაჩქარებას, ეროვნული ეკონომიკის ტექნიკურ-ტექნოლოგიურ ორგანიზაციას, ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის მოხსენება

(დასასრული)

ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლის უფლებას პირველადი პარტორგანიზაცია უნდა იყენებდეს აგრეთვე სამეცნიერო-კვლევე სამუშაოთა გეგმების ფორმირებაზე ზემოქმედების მოსახდენად, იღვწოდეს, რომ ამ გეგმებში შეჭარხლდეთ ყველაზე აქტუალური, ყველაზე საჭიროთა მეცნიერული პრობლემები, რომელთა გადაჭრა რეალურ სარგებლობას მოუტანს ჩვენ ოგორც თვით მეცნიერებას, ისე სახალხო მეურნეობას.

სამეცნიერო დაწესებულებათა პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ **დისციპლინის განმტკიცებისა და შრომის ორგანიზაციის** საკითხებს. როგორც ფაქტები მოწმობს, პარტორგანიზაციები ზშირად ყურადღებას არ აქცევენ იმას, რომ ზოგიერთი მეცნიერი თანამშრომელი სრულად არ არის დატვირთული, დიდად არ იწუხებს თავს მუშაობით, ზოგჯერ კი დისციპლინის დაცვის შემდეგ საკროთდ აღარ ძღვება არავითარ მეცნიერულ პროდუქციას. არ ზორეკილდება ჯეროვანი ღონისძიებები მეცნიერთა კადრების დამკვიდრებისათვის, რის შედეგადაც სამეცნიერო-კვლევითის ინსტიტუტებში მეცნიერ მუშაკთა ფენადობა შეიმჩნევა.

არსებობს ისეთი პრობლემაც, როგორიც არის **მეცნიერი თანამშრომლის, მკვლევარის, კონსტრუქტორის ავტორიტეტის ამაღლება.** არ უნდა იყოს ისეთი მდგომარეობა, რომ ისინი, ვინც ნამდვილად ავთორებს და აწინაურებს მეცნიერებას, ჩრდილში რჩებოდეს. პარტიულმა ორგანიზაციებმა ყოველნაირად უნდა დაიცვან მეცნიერი თანამშრომლის ავტორიტეტი, რომელიც ზშირად ქმნის „ამინდს" კოლექტივში, ნაყოფიერი, ეფექტიანი შრომისათვის ყველა პირობა შეუქმნას მას.

უფრო მაღალი უნდა იყოს **სამეცნიერო დაწესებულების პირველადი პარტორგანიზაციის მდგომის ავტორიტეტიც.** სამეცნიერო კოლექტივებში პარტიულ წინამძღოლებად უნდა იყვნენ ყველაზე ავტორიტეტიანი, ყველაზე კომპეტენტური ადამიანები, ამხანაგები, რომლებსაც ღირსა პატივისცემა აქვთ მოხვეშილი მეცნიერულ საქმაოროში. პარტიული ორგანიზაციის მდგომის ზერჩევისას უნდა გამოვიჩინოთ ზუსტად ისეთივე მიდგომა, როგორც სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობაზე თვალსაჩინო მეცნიერის დასაყენებისას, ისეთივე პასუხისმგებლობის საზომით, ისეთივე პარტიული პრინციპულობით.

ამასთანავე, პარტიული ორგანიზაციების მდივნებთან ერთად, სამეცნიერო დაწესებულებათა ხელმძღვანელებსაც უნდა ეკისრებოდეთ პერსონალური პასუხისმგებლობა სამეცნიერო კოლექტივში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის მდგომარეობისათვის. შემთხვევითი ხომ არ არის, რომ ასეთ ხელმძღვანელებს, ჩვეულებრივ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების შემადგენლობაში ირჩევენ. თავის მხრივ, პარტიული ორგანიზაცია უფრო აქტიურად უნდა ზემოქმედებდეს ხელმძღვანელებზე, უნერვიანდეს მათ საუკეთესო თვისებებს, იმის უნარს, — რომ ყურად იღოს კომუნისტების აზრი, გადაწყვეტოს საკითხები კოლეგიურად, კოლეგიტურად. ფუნდამენტური მეცნიერების შემდგომი განვითარების ამოცანებთან ერთად პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმონ **მეცნიერულ დამუშავებათა შედეგების პრაქტიკაში დანერგვის საკითხებს.** სწორედ ეს გახლავთ ის სასინჯი ქვა, რომლითაც მოწმდება კომუნისტების, მათი ლიდერების ბრძოლისუნარიანობა და მიზანსწრაფვა. დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის უნარი პარტიული ხელმძღვანელის თავკერი ღირსებაა.

ამრიგად, **საკითხები ბევრია, პარტიული ორგანიზაციების წინაშე რიფული ამოცანები დგას, და მათი გადაწყვეტა პარტიული ორგანიზაციების მდივნებისაგან პრინციპულობას, თანამედეგრულობას და კომპეტენტურობას მოითხოვს.** სამეცნიერო დაწესებულებათა პარტორგანიზაციების მდივნების თათბირზე, რომელიც პლენუმამდე მოეწყო ყველა ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილებაში, აღინიშნა, რომ მათი მუშაობის სპეციფიკას უფრო ღრმად უნდა სწვდებოდნენ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებები, პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები. გამოითქვა სურვილი, რომ პარტიულ კომიტეტებში, მათ შორის, ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებში, მოეწყოს მდივნების სწავლება, მათი მუშაობის გამოცდილების გაზიარება.

ჩვენ შეგვიზეთ სამეცნიერო დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის ზოგიერთი მხარეს. დაახლოებით ასეთივე ამოცანები დგას სპროექტო, საპროექტო-საკონსტრუქტორო, საცდელ-საკონსტრუქტორო და სხვა იმ დაწესებულებების პარტორგანიზაციათა წინაშე, სადაც იბადება ან იხვეწება ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია.

აქვე საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ბაზაზე ეკონომიკის განვითარების ინტენსიურ ფაქტორებზე ორიენტაციის მტკიცედ აღების პირობებში დაგვჭირდება აგრეთვე იმ **პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის სტილისა და მეთოდების ძირეული გარდაქმნა, რომლებიც უშუალოდ მატერიალური წარმოების სფეროში მოქმედებენ.**

თვით **ინტეგრაციის, წარმოებასთან მეცნიერების პარტნიორობის** ცნება ითვალისწინებს, მოითხოვს ამ ორი სფეროს **ორმხრივ ურდიერთობას, შეთანაწყობას,** შეერთებას. პირველად პარტიულ ორგანიზაციებზე, მათს მდივნებზე დიდად ექნება დამოკიდებული **მეორე ინტეგრირებული მხარის** მომზადებაც თვით ინტეგრაციისათვის, კერძოდ, სამინისტროების, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, გაერთიანებების, კოლეგიურებებისა და საბჭოთა მეურნეობების, მათი ხელმძღვანელების, პირველად პარტიული ორგანიზაციების მდივნების მომზადება.

ბევრი მეცნერი, სპეციალისტი ფიქრობს, რომ წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის რიფული პრობლემები შეიძლება სახელმწიფოს სტრატეგიული როლის გაძლიერებისას თვითრეგულაციის ფაქტორთა ზეგავლენით გადაიკრას, ორივე მხარის — მეცნიერებისა და წარმოების დაინტერესება უზრუნველყოფდა პარტნიორობის როგორც თვითრეგულაციის ისეთი მექანიზმის ერთ-ერთი ელემენტის ფუნქციონირებას.

რა თქმა უნდა, ასეთ მომზადებას, ასეთ დაინტერესებას უნდა უზრუნველყოფდეს შესაბამისი ეკონომიკური ბერკეტებიც. მაგრამ დღესდღეობით საქმე ეხება, უწინარეს ყოვლისა და უმთავრესად, თითოეულის **უსიკოლოგიურ, სუბიექტურ მოამზადებას** ამ დიდი მეცნერული და სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ამოცანების გადაწყვეტისათვის. პარტიული ორგანიზაციები თავიანთ მისიად უპირველესად იმას უნდა რაცხდნენ, რომ ყოველ მუშაკს გააგებინონ **მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ფასი,** აღზარდონ პარტიული და სამეურნეო კადრები — უკლებლივ ყველა მუშაკი — ისეთი სულისკვეთებით, რომ მათ აფიქრებდეთ არა მარტო **სადღეისო.** არამედ აგრეთვე **სახვალეო, პერსპექტიული პრობლემები.** ყოველ ჩვენგანს უწინარესად უნდა აინტერესებდეს, აღელვებდეს, უმახვილებდეს ყურადღებას **საწარმოს ხვალინდელი დღე, კოლეგიურნეობის, საბჭოთა მეურნეობის წელინდელი დღე, ახალშენებლობის ხვალინდელი დღე.**

აუცილებელია, ჩვენი პარტიული და სამეურნეო კადრები ზარნაგდნენ სწორედ პერსპექტივისათვის, ნიადაგ ფიქრობდნენ მოწყობილობის გამოსაშვები პროდუქციის ასორტიმენტის განახლებას, მასალების მომჭირნე და რაციონალური გამოყენების, საწარმოო-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების უზრუნველყოფაზე, ნიადაგ სწვდებოდნენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრობლემებს, იჩენდნენ ინტერესს ამ პრობლემებისადმი, დაუცხრომლად ეძებდნენ. რა აქვთ საყურადღებო, სასარგებლო, დიდმნიშვნელოვანი მეცნიერებს, კონსტრუქტორებს, დამპროექტებლებს — ეძებდნენ ყოველივე იმას, რითაც შეიძლება შევიარაღდეთ **არა მარტო დღეს, არა მარტო ხვალ, არამედ 10-15 წლის შემდეგაც.**

მთელი ეს მუშაობა ჩვენ, ამხანაგებო, უნდა მივიჩაენოთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მაღლიანი ნიადაგის მოშზადებად, მეცნიერების პოლიგონის მოშზადებად. **თუ არ მოვამზადეთ ასეთი ნიადაგი, თუ ასე არ დავაყენეთ საკითხი, თუ ასეთი პოლიგონი არ გვექნა, მაშინ არ გვექნება არც არავითარი ინტეგრაცია, არ გვექნება არც მეცნიერულ-ტექნიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის ტემპის დაჩქარება, არავითარი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია.**

საჭიროა შეიქმნას მეცნიერულ დამუშავებათა შედეგების წარმოებაში დანერგვის უზრუნველსაყოფად ყველა პარტორგანიზაციის მუშაობის სისტემა, **დანერგვისადმი პარტიული კონტროლის სისტემა.** თითოეულ პარტორგანიზაციაში უნდა შედგეს მეცნიერულ დამუშავებათა **დანერგვის ღონისძიებათა გეგმა,** რომელიც მოიცავს მათი პროპაგანდის ფორმებსა და მეთოდებს, მათი დამთავრებისა და გამოყენების, მეცნიერთა და წარმოების მუშაკთა მორალური და მატერიალური სტიმულირების გზებს. შეიძლება ერთობლივი გეგმები შეიმუშაონ ინსტიტუტებისა და წარმოებების პარტორგანიზაციებმაც.

ფართოდ უნდა დაინერგოს სამეცნიერო დაწესებულებათა და საწარმოთა პარტკომებისა და პარტბიუროების ფიერთიანებული სხდომები, ყოველთანებული პარტიული კრებები, კომუნისტ მეცნიერთა ანგარიშგება წარმოების კომუნისტ მუშაკთა წინაშე და პირიქით. მნიშვნელობა იქნებოდა კომპეტენტური პროგრამების შემუშავებაში ან პარტნიორობაში სხვადასხვა შრომითი კოლექტივის ერთობლივი მონაწილეობის პერიოდისათვის შექმნილიყო **პირველადი პარტორგანიზაციების მდივანთა ფრონტი.**

შესაძლოა, ზოგიერთ რეგიონულ პარტიულ კომიტეტთან მიზანშეწონილი იყოს უკრაინელი ამხანაგებისა და თბილისელების მაგალითისამებრ შევამნეთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ხელშემწყობ საბჭოები, რომლებიც დაგვეხმარებიან დარგთშორისი, უწყებათშორისი ბარიერების დაძლევაში.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი შრომის პირობების გაუჯობესების, მისი დაცვის პროგრესიც არის.

მაშასადამე, ეს ფიდილი საქმე ყოფილა **პროფკავშირებისა,** რომლებმაც უნდა იღვაწონ, რომ მეცნიერების მიღწევათა, ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის გამოყენების საკითხები უფიდიგმოქმედი საწარმოო თათბირების სისტემატური განხილვის საგანი გახდეს, ღირსეული ადგილი დაიკავოს კოლექტიურ ხელშეკრულებებში. მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვა, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის ამაღლება უშუალოდ შეეხებამება შრომელთა ინტერესებს, ეინაიდან უმსუბუქებს მათ შრომას, კიდევ უფრო კვალიფიციურსა და შემოქმედებითს ხდის შრომელთა გარჯას.

ეუშაობილ **მეცნიერული პოზიციებიდან** უნდა მიეფდგეთ **სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციას** სამეცნიერო-კვლევითს და საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებებში, რათა იგი მაქსიმალურად უწყობდეს ხელს საუკეთესო სბოლოო შედეგების მიღწევას. რაც შეეხება სამეცნიერო დაწესებულებათა შორის და თვით ამ დაწესებულებებში მიმდინარე სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების ამჟამინდელ პრაქტიკას, იგი ზშირად სუბიექტური ხასიათისაა, ეინაიდან ნაშრომების შეფასება ძალზე სუბსტად ესატყვისება დამუშავებათა სბოლოო შედეგებს, მათს დანერგვას. საჭიროა გავაძლეროთ შეჯიბრების საკარობა, სტიმულირება სამეცნიერო დაწესებულებებში.

უკანასკნელ ხანს რესპუბლიკაში რამდენადმე გააქტიურდა **სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საზოგადოების საქმიანობა.**

სამი წლის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ინიციატივა „სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა ყოველი საბჭო წარმოების რეზერვების ძიების შტაბია". მეცნიერულ-ტექნიკური საზოგადოებრიობის მიერ გამოკვლეული რეზერვების წყაროებით სამი წლის მანძილზე დამატებით გამოშვებულია 140 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების ზეგეგმითი პროდუქცია. დღეს სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საბჭოები მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის ბეჯის ბურანი უნდა გახდეს.

ჩვენს ახალგაზრდობას, ჩვენს კომკავშირს შეუძლია ბევრი სასარგებლო რამ გააკეთონ. ამიერიდ გვაქვს, მოვალეთ, რომ კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებლები, როგორც ყოველთვის, ახლაც თავიანთ მნიშვნელოვან წვლილს შემატებენ ამ საერთო-პარტიულ, საერთო-სახელმწიფოებრივ საქმეს, მეცნიერების შემდგომი განვითარების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კიდევ უფრო მეტი დაჩქარების საქმეს, ახალგაზრდული ენერგიით, ჰაბეკური ენთუზიაზმითა და შემართებით ეკვეთებიან მას, რაც მეცნიერებში შეადგამენ ფეხს, ახალგაზრდები კომკავშირელი ასაკისანი არიან, ეს კი ნიშნავს, რომ კომკავშირულ ორგანიზაციებს დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნით მეცნიერთა კადრების ჩამოყალიბების, აღზრდისა და დავაჯაკებების საქმეში. **თითოეულისათვის, ვინც ვგადაწყვეტა თავისი ცხოვრება მეცნიერებას მაუძღვნას, კომკავშირი უნდა გახდეს ერთგული და მზრუნველი დამრიგებელი, რომელსაც შეუძლია ჭალლშეინოს თუ ბაბუაში ამოიცნოს ბომბავლი მეცნიერი და გაუკვალოს მას მეცნიერული შემოქმედების გზა.**

მეცნიერების ეფექტიანობის ამაღლებაში, მისი მიღწევების სწარმოო გაერთიანებებისა საქმეში იზრდება **მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა** როლი. მეცნიერების მიღწევათა პროპაგანდისა და პოპულარიზაციისათვის დიდ მუშაობას ეწევიან რესპუბლიკური პრესა, ტელევიზია და რადიო. მაგრამ ეს მასალები მეტწილად ინფორმაციული, ოლუსტრაციული ხასიათისაა. საჭიროა ოვეძრით ხოლმე მეცნერების, მისი ძირითადი მიმართულებების შემდგომ განვითარებასთან დაკავშირებული უფრო აქტუალური, პრობლემური საკითხები. გვეპირდება პოლემიკა, გვეპირდება დისკუსია, გვეპირდება კამათი და პაექრობა. **თუ კრიტიკულად არ გავაანალიზეთ ნაღვაწი, ვერ წავალთ წინ, ვერ მოვახდენთ მნიშვნელოვან მეცნიერულ აღმოჩენებს, ვერ მივალწევთ თვალსაჩინო შედეგებს, ვერ განვახორციელებთ საფუძვლიან კვლევას.**

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია საზოგადოების განათლების მაღალ დონეს მოითხოვს. ამიტომ მეტი მზრუნველობა გვმართებს მუშათა და კოლეგურნეთა, სპეციალისტთა, მოსამსახურეთა მეცნიერული, ტექნიკური, ჰუმანიტარული ცოდნის გაღრმავებისათვის. აქ საქმიანობის ფართო ასპარეზი ეკმნება საზოგადოება „ცოდნას", პოლეტიკური განათლების საზოგადოება, ეროვნული ენა, ყველა ჩვენს იდეოლოგიურ დაწესებულებას.

როცა **მეცნიერებისა და იდეოლოგიის თანაფარდობის** საკითხებს ვეხებთან, გვინდა გამოვყოთ ამ პრობლემის ორი მხარე: ჯერ ერთი, თვით მეცნიერების კადრების იდეური აღზრდა და, მეორე, მეცნიერთა მონაწილეობა იდეოლოგიურ მეშაობაში, მშრომელთა ფართო მასების იდეოლოგიურ აღზრდაში.

განვითარებული სოციალიზმის პერიოდში განსაკუთრებით იზრდება მეცნიერების კადრების იდეურ-პოლიტიკური მომზადებისა და ფრთობის ორი მხარეს შეფერილობა, ვინაიდან მეცნიერის მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე, იმაზე, თუ რამდენად წარმატებით არის იგი დაუფლებული სინამდვილის შემეცნების მარქსისტულ-ლენინურ მეთოდს — მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას, — დიდად არის დამოკიდებული მისი პროფესიული მეცნიერული მოღვაწეობა, მისი აქტიური ცხოვრებისეული, მოქალქეობრივი პოზიცია.

ამასთანავე იღებენ რა პირად თეორიულ წრთობას, ჩვენი მეცნიერების კადრები უნდა გვეკლინებოდნენ პარტიის აქტიურ იდეოლოგიურ მებრძოლებად, ჩვენი ახალგაზრდობის, ყველა მშრომელის იდეურ აღზრდელებად და დამრიგებლებად. და ჩვენ ამ შემოხვევაში ვგულისხმობთ არა მარტო საზოგადოებათმცოდნე მეცნიერებს, არამედ აგრეთვე მეცნიერების სხვა დარგების — საბუნებისმეტყველო და ტექნიკური დარგების მოღვაწეებსაც.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია კაცობრიობის, პროგრესის დიადი დამჩაჩარებელია, რომელიც სერიოზულ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეზე. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შედეგებს საკუთარი გამოცდილებით ვრძნობს როგორც მთლიანად საზოგადოება, ისე თითოეული ადამიანი ცალ-ცალკე. ამიტომ ჩვენთვის, კომუნისტებისათვის, მეცნიერება, ისევე როგორც ეკონომიკა, ყველაზე საინტერესო, ყველაზე მოავარი პოლიტიკაა.

XI. მთავარია საბოლოო შედეგი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VI პლენუმის მოხსენება „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის", ეეშმარიტად **კოლექტიური აზროვნების ნაყოფია.**

მის ფორმირებაში მონაწილეობდა არა მარტო პლენუმის უკლებლივ ყველა მონაწილე, არამედ აგრეთვე ასობით მშრომელიც — კომუნისტები და უპარტიოები, რომლებიც გამოდიოდნენ ჩვენი პრესის ფურცლებზე, გამოგზავნეს თავიანთი წინადადებები ცენტრალურ კომიტეტში, სხვა პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში.

ახლა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ **სისტემატური შეუნელებელი კონტროლი** დაეუწესოთ მეცნიერების განვითარების, წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის ღონისძიებათა კონცენტრაციისათვის მუშაობის პროგრამის განხორციელებას, რომელიც ამ მოხსენებაშია მოცემული.

ენდა შეიქმნას პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის ისეთი სისტემა, რომელიც ზუსტად მეცნიერული, დასაბუთებული მიდგომის ნიშვნა გახდებოდა. საჭიროა უთუოდ, უცილობლად **უზრუნველყოთ პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელება პრაქტიკაში,** ყოველდღიურ ცხოვრებაში, გადავაქციოთ ისინი, როგორც ვლადიმერ ილიას ძე ამბობდა, **„სავსებით და ნამდვილად ყოფა-ცხოვრების შემადგენელ ელემენტად".**

ზოგიერთი წინადადება ასეთი **კონტროლის სისტემის** თაობაზე შეგვიძლია უკვე ახლა გამოვთქვათ. საჭიროა, ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და მინისტრთა საბჭოს გაერთიანებულ სხდომებზე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების შესრულების შედეგების შეჯამებისას ყოველკვარტალურად გაკეთონ პლენუმის გადაწყვეტილებათა რეალიზაციის მიმდინარეობის ანგარიში რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, სახმწინისა და მეცნიერებათა აკადემის ხელმძღვანელებმა. უკლებლივ ყველა სამინისტრომ და უწყებამ უნდა მოისმინოს ანალოგიური ანგარიშები მინისტრთა მოადგილეებისა, რომლებიც მეცნიერებისა და ტექნიკის საკითხებს განაგებენ.

ანალი ამოცანების მიხედვით ერთგვარად უნდა გარდაქმნან საქმიანობა მეცნიერებათა აკადემიამ, მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სახმწენმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, კერძოდ, მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის საკითხებშ.

სპეციალური გეგმები, კონკრეტული ღონისძიებები უნდა შეიმუშაონ სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც ეკისრებათ სამეცნიერო-კვლევითი, საპროექტო, საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური დაწესებულებები და ორგანიზაციები.

გარკვეული კორექტივებია შესატანი კადრების გათვალებს, მომზადებისა და გადამზადების მთელი სისტემის სასწავლო პროგრამებში, დაწყებული სამეფოალო სკოლიდან, პროფესიულ-ტექნიკური განათლების, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების პროგრამებში.

პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა ეკუთვნოდეთ პროფსაბჭოსა და პროფკავშირთა რესპუბლიკურ დარგობრივ კომიტეტებს.

ძალზე სასარგებლო ღონისძიებად გვესახება **წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა დანერგვის რესპუბლიკური დათვალიერება,** რომლის ორგანიზაცია რესპუბლიკის პროფსაბჭომ, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, მეცნიერების და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, მეცნიერებათა აკადემიამ უნდა ითავონ. ეს შესაძლებლობას მოგვცემს შევაჯამოთ ნაღვაწი, გავაანალიზოთ სამეცნიერო, საპროექტო, საკონსტრუქტორო დამუშავებათა თემატიკა, მათი შედეგანაში, შევაფასოთ სამეცნიერო და საწარმოო კოლექტივების თანამშრომლობის ქმედითობა, დავსახოთ და განვახორციელოთ წარმოების ტექნიკური დონის ამაღლების ღონისძიებანი.

მიზანშეწონილი იქნება, აგრეთვე, რომ პროფკავშირთა დარგობრივმა კომიტეტებმა ყოველწლიურად განიხილონ თავიანთ პლენუმებზე, თუ როგორ სრულდება თითოეულ დარგში ახალი ტექნიკის გეგმები.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის განხორციელებაში თავიანთი ადგილ ეზედა მიაგნონ **სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა, საქართველოს ალკ ცენტრალურმა კომიტეტმა, რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტმა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა;** საჭიროა განსაზღვროს ადგილობრივი საბჭოების, თითოეული პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციის, სახალხო კონტროლის ყოველი ჯგუფის ამოცანები.

ამ პლენუმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანები გასხლილულ უნდა იქნეს **ყოველ პირველად პარტიულ ორგანიზაციაში,** მაგრამ ამ საქმეში არას გვარგებს აჩქარება, წინდაუფიდგობა, არაკომპეტენტურობა. კომუნისტებმა ყურადღებით უნდა შეისწავლონ VI პლენუმის მოხსენება, კონკრეტულად და საგნობრივად შეიმუშაონ მიმდინარე და პერსპექტიული სამეშაო გეგმები და მხოლოდ ამის შემდეგ გაანიხილონ ისინი პარტიულ კრებებზე, განიხილონ საქმიანად, აქტიურად და დაინტერესებით.

თავის მხრივ, ახალი შინაარსი უნდა მიენიჭოს კომპლექტური შემოწმებებს, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის პრაქტიკაში დამკვიდრდა. ასეთ შემოწმებათა განხორციელებისას წინა პლანზე უნდა დადგეს პრობლემა — **მეცნიერება და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი.** ძირეულ შემობრენებას მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პრობლემებისაკენ ძმხოლოდ მაშინ უზრუნველეყოფთ, თუ ისინი პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების უპირველესი საზრუნავი გახდება, თუ პარტიული კომიტეტების მდივნები ამ საქმეში გამოიჩენენ **ღვიძლ დაინტერესებას, პარტიულ ინიციატივას, სოციალისტურ გერგილიანობას,** თუ პარტიული მუშაკები გახდებიან, ყველაზე კარგი გაგებით, **მეცნიერების ჯარისკაცები, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ჯარისკაცები.**

ცენტრალური კომიტეტის პლენუმს მიაჩნია, რომ მის შემადგენლობაში უნდა შევიდნენ ხელმძღვანელი პარტიული, სახელმწიფო, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, თვალსაჩინო მეცნიერები, სპეციალისტები, ხოლო საბჭოს თავმჯდომარე უნდა იყოს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი.

ნათლად უნდა გვესმოდეს, რომ საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით საქმე ეხება არა მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის არსებული სისტემის ლიკვიდაციას, საქმე ეხება მისი ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობას. არ არის არავითარი საფუძველი იმ მოსაზრებისა, ვითომ საკოორდინაციო საბჭომ სახელმწიფო ორგანოების, მით უმეტეს, მეცნიერებათა აკადემიისა და მისი დაწესებულებების მაგვარობა გასწიოსო.

საკოორდინაციო საბჭოს სამეშაო ორგანოები უნდა იყვნენ, უწინარეს ყოვლისა, საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტი, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის აპარატი; ამასთან ბეჯულსხმები აკადემიისა და ყველა სხვა სამეცნიერო ორგანიზაციის ყველაზე აქტიური მონაწილეობა.

ნავარაუდევია, საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში შეიქმნას **სამეშაო ჯგუფები,** რომლებსაც გადაეცემიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები ინ დარგების, სახალხო მეურნეობის ინ სფეროების შესაბამისად, რომლებსაც ისინი უწევენ კურირებას.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომებზე, აგრეთვე სამეშაო ჯგუფების სხდომებზე განხილულ უნდა იქნეს მხოლოდ ისეთი საკითხები, რომლებიც მოითხოვს პარტიული, სახელმწიფო ორგანოების განსაკუთრებულ ყურადღებასა და განსაკუთრებულ მზრუნველობას.

საკოორდინაციო საბჭო და მისი სამეშაო ჯგუფები მოვალენი არიან — და ჩვენც სწორედ ეს მოგვაქნია მათს ძირითად დანიშნულებად, ძირითად მოწოდებად — **თანაბრად ზრუნავდნენ როგორც წარმოებაში მეცნიერების მიღწევათა დანერგვისათვის, ისე ამისთვისაც, რომ ყველაზე ხელშემწყობ პირობები შეუქმნან მეცნიერების წარმატებულ განვითარებას, ფუნდამენტურ კვლევას.**

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით [illegible] კომპარტიის ცენტრალური [illegible] ხელოვნ ბანს უნდა დაამტკიცოს დებულება რესპუბლიკის მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკოორდინაციო საბჭოს შესახებ, [illegible] შემადგენლობა.

ამასთანავე, ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ დაბეგენს შემდეგ უნდა დაამტკიცონ VI პლენუმის მიერ მოლიანად მოწონებული სახალხო მეურნეობის დარგების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ღონისძიებანი.

რაც შეეხება მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში მოელი მუშაობის კოორდინაციის შემოთვალებული სისტემის მთავარ ბაზანს, მისი თავმდებთავია მივალწიოთ **სახალხო შედეგს:**

— მეცნიერული კვლევის სახალხო შედეგს;

— ბაგოუკეთებითს დაპუშაგებათა და საკონსტრუქტორო, ტექნოლოგიური, სპროექტო ბაზა.

ეუფეტბის სახალხო შედეგს;

— წარმოებაში, ცხოვრებაში, სახალხო მეურნეობის პრაქტიკაში მეცნიერების მიღწევათა დანერგვის სახალხო შედეგს.

ამრიგად, დღესაც, როგორც ყოველთვის, როგორც ყველა ფენომენი, ჩვენ სწორედ **საბოლოო შედეგებს** ვიჭერთ ქვაყუთხედად, მთელი ჩვენი შემდგომი მუშაობის საფუძველთა საფუძველად!

• • •

ამხანაგებო!

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, როგორც ყოველგვარი რევოლუცია, მოითხოვს თავისი განვითარების პრესპექტივებისა და მიზნების სიცხადეს, იმის ღრმა გაგებას, თუ რად და რის გულისათვის, ვის გულისათვის ხორციელდება იგი, მოითხოვს რეკოლუციის სტრატეგიისა და ტაქტიკის ცოდნას, მოითხოვს განსაკუთრებულ მობილიზებას, მოითხოვს მისი ორგანიზატორებისა და ყველა მონაწილის განსაკუთრებულ დარაზმულობას.

როგორც ყოველგვარი რევოლუცია, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია წარმოიჩენს თავის ლიდერებს, რომლებმაც მოთმინებით, გულმოდგინედ, დღენებით უნდა ამზადონ ადამიანები, ფართო მასები ასეთი რევოლუციისათვის, ადფრთოვანონ ისინი გმირული შემართებისათვის, გამდელი ბრძოლისათვის. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია მოითხოვს ისეთსავე ემოციებსა და ეფექტებს, ისეთსავე თავდადებას, როგორსაც სოციალური რევოლუცია.

ჩვენ ვხედავთ ყველაზე მჭიდრო, ყველაზე უშუალო, ორგანულ კავშირს სოციალურ რევოლუციასა და მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას შორის. ჩვენ ეარგად გვესმის, ჩვენ საეჭეოოდ გვაქვს შეგნებული, რომ სოციალური რევოლუციის მიერ დასახული ამოცანების მით უფრო წარმატებით მივალწევთ, რაც უფრო სწრაფად და უკეთ განხორციელდება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია.

დღეს ჩვენთვის სრულიად ცხადია: ეეშმარიტი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მოუხდენლად ვერ მივალწევთ ამ მაღალ და ნათელ იდეალებს, რომლიც დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოგვიტანა.

ჩვენ, ჩვენს თაობას, 80-იანი წლების სწავლულებს, სახალხო მეურნეობის პრაქტიკოსებს, კომუნისტებს და კომკავშირელებს **წილად ვგხვდა საპატიო მისია — შეეკმნა ატომფერო, რომელიც ხელს შეუწყობს ხამაშელი მეცნიერების სწრაფს აუკვანას, სწრაფს განვითარებას, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განხორციელებას.**

ჩვენ ამ ხანაში ვცხოვრობთ, რომელიც მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ხანა გახდა, ვცხოვრობთ ხანაში, როცა მეცნიერება და ტექნიკა სულ უფრო მეტად გადაიქცევა სახოგადოებრივი განვითარების ერთ ერთ წამყვან ძალად, როცა სულ უფრო მატულობს მათი ხემოქმედება საზოგადოების ცხოვრების ყველ სფეროზე — სოციალურზე, ეკონომიკურზე, პოლიტიკურზე, სულიერზე.

ჩვენ დავამარცხეთ კაპიტალიზმი პოლიტიკური თვალსაზრისით, მორალური, ზნეობრივი, ფსიქოლოგიური